სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20“ 11 „ 2013 წელი

ეგზ. № 2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების შესაბამისობის

აუდიტი №55/00

(01.01.2011 - 01.01.2013)

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი 3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

მუნიციპალიტეტის მოკლე მიმოხილვა 4

ინფორმაცია სოციალური პროგრამის შესახებ 4

შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა 6

სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხა და მათი გადანაწილება 7

პირობითი მოსაზრების საფუძველი 9

აუთვისებელი თანხები. 10

შემოსული განცხადებების აღრიცხვა 10

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაცია 12

სოციალური სამსახურის მომზადებული დასკვნები. 13

ზღვრული ოდენობის გადამეტებითა და კრიტერიუმების დარღვევით გაწეული დახმრებები 14

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთ ბენეფიციარზე რანდენჯერმე გაცემული დახმარება 15

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა 16

3-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახების ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა 16

18-დან 60 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა 16

უსინათლოთა დახმარების პროგრამა 17

მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა 18

მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო სასადილო მომსახურება 19

სოციალურად დაუცველი ოჯახების სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა 20

მასშტაბის შეზღუდვა 20

აუდიტის დასკვნა 20

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 21

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 21

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითადი მიზანია, 2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება; ამასთან პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე დასკვნის გაცემა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკური ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება: შეესაბამება თუ არა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური

ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მუნიციპალიტეტის მოკლე მიმოხილვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მდგომარეობით შეადგენს 38.9 ათას კაცს, ფართობი მოიცავს 533 კმ^2-ს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 16 ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოიცავს 55 სოფელს და ერთ ქალაქს.

ინფორმაცია სოციალური პროგრამის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტი. აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოციალური დაცვის პროგრამით“ განხორციელებული საქმიანობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, ყოველწლიურად შეიმუშავებს და ამტკიცებს სოციალური დაცვის პროგრამას. პროგრამა გულისხმობს შემდეგი დახმარებების დაფინანსებას: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების

თანადაფინანსების პროგრამა; მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; 18-დან - 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა; დევნილთა და შეჭირვებულ ოჯახების საშეშე მერქნით დახმარების პროგრამა; მშობიარობის თანდაფინანსების პროგრამა; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; ახალშობილთა პირველადი საჭიროების ერთჯერადი დახმარების პროგრამა; სოციალურად დაუცველი ოჯახების სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა; შეჭირვებულ ოჯახთა 3-დან - 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა; ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; უსინათლოთა დახმარების პროგრამა; II მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი და სარიტუალო დახმარების პროგრამა; დაღუპულ პოლიციელთა ოჯახების დახმარების პროგრამა; რეფერალური და სკრინინგცენტრის თანადაფინანსების პროგრამა; ხანდაზმულთა (100 წლის ზემოთ) დახმარება; 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება. პროგრამები, საჭიროებიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში იცვლება.

„სოციალური დაცვის პროგრამის“ ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის როგორც საკუთარი შემოსულობებით, ასევე დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერით. აუდიტის ჯგუფმა პროფესიული განსჯის საფუძველზე შეარჩია შესამოწმებელი ოპერაციები. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით, რომელიც გულისხმობს ზოგადი ანალიზისა და პირველადი დოკუმენტაციის შემოწმებას, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა გონივრული რწმუნების მიღება იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებდა განხორციელებული საქმიანობა პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და მოთხოვნებს. ამასთან, რამდენად

პასუხობს ბენეფიციართა მონაცემები პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, შესწავლილია ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა რამდენად უზრუნველყოფს არსებითი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას.

შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა

სოციალური პროგრამების ფარგლებში დახმარებები გაიცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული წესის მიხედვით. ამავე წესით, თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება ფინანსური დახმარების ოდენობა, მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია და ბენეფიციართა კონტინგენტი.

სოციალური დახმარების მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და განცხადებასთან ერთად წარადგენს განკარგულებით განსაზღვრულ საჭირო დოკუმენტაციას. აღნიშნულის შემდეგ, შემოსული განცხადებები ქრონოლოგიურად ტარდება სპეციალურ ჟურნალში, რის შემდეგაც ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, შესასწავლად და დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მოსამზადებლად ეგზავნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურს, რომელიც შემოსულ განცხადებებს განიხილავს თვეში ორჯერ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბენეფიციარის ფინანსურ დახმარებას. კრიტერიუმებთან შესაბამისობას ადგენს სოციალური დაცვის სამსახური და საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე[1].

[1] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 დეკემბრის №94 განკარგულებითა და 2011 წლის 16 დეკემბრის №91 განკარგულებით.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებზე დახმარებები გაიცემა ფულადი ფორმით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი თანხის ჩარიცხვას ახორციელებს მოსარგებლის პირად ანგარიშზე ან პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე იმ ორგანიზაციის ანგარიშზე, რომელმაც მომსახურება გაუწია ბენეფიციარს.

სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხა და მათი გადანაწილება

2011-2012 წლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალურ პროგრამებზე გახარჯულია 878 ათასი ლარი. 2012 წელს, წინა წელთან შედარებით 45.4%-ით არის გაზრდილი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხები, რადგან არსებული პროგრამების დაფინანსება გაიზარდა123 ათასი ლარით და ახალი სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოიყო 45.3 ათასი ლარი.

ცხრილი №1

წელი	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	სხვაობა	სოც. პროგრამების რაოდენობა
2011	370 670	346 023	24647	11
2012	538 928	531 966	6962	19
სულ	**909 598**	**877 989**	**31609**	

2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების სოციალურ პროგრამებზე გადანაწილება ნაჩვენებია დიაგრამაზე:



- 2011 წელს მოქმედებდა სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც 2012 წელს დაიყო 2 სოციალურ პროგრამად: შეჭირვებულ ოჯახთა 3-18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა და 18-დან - 60 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა.
- 2012 წელს ორ სოციალურ პროგრამად დაიყო დევნილთა და შეჭირვებული ოჯახების საშეშე მერქნით უზრუნველყოფის პროგრამა: „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა“ და „ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების სათბობი შეშით უზრუნველყოფის პროგრამა“.
- 2011 წელს „მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს პროგრამის“ მოსარგებლეები იყვნენ ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები უნარშეზღუდული პირები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე უკიდურესად შეჭირვებული მარტოხელა პირები. 2012 წელს, 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარებისათვის შემუშავდა ცალკე სოციალური პროგრამა.

- 2012 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ სოციალურ პროგრამებს დაემატა 5 ახალი სოციალური პროგრამა:
    1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა“
    2. „უსინათლოთა დახმარების პროგრამა“
    3. „მშობიარობის თანადაფინანსების პროგრამა“
    4. „ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა“
    5. „რეფერალური დახმარების ცენტრისა და ეროვნული სკრინინგცენტრის მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა“.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შიდა კონტროლის სისტემის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში დახმარების მსურველებს, რომლებიც განცხადებით მიმართავენ მუნიციპალიტეტს, სოციალური სამსახურის მხრიდან ზეპირი განმარტებით ეცნობებათ უარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა დახმარების მიღების მსურველთა დაუკმაყოფილებლობის დოკუმენტური მტკიცებულება. აღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებაზე მიუთითებს, რადგან პროცესი არ არის გამჭირვალე, არ გააჩნია სათანადო კონტროლის მექანიზმები და ბუნდოვანია, არის თუ არა სამართლიანი უარის თქმის მიზეზები. პროცესის შესწავლისას ასევე გამოვლინდა შემდეგი სისტემური ხარვეზები:

- ✓ პროგრამებს შორის არაგონივრულად გადანაწილებული სახსრები (აუთვისებელი თანხები).

- ✓ სოციალური დაცვის სამსახური არ აწარმოებს დახმარების მსურველთა აღრიცხვას, საკრებულოს დადგენილების შესაბამისად.
- ✓ დახმარების მსურველთა მიერ არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- ✓ სოციალური სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები დახმარების მიღების მსურველთა სოციალურ პროგრამაში ჩართვის შესახებ.
- ✓ ხშირ შემთხვევაში პროგრამით მოსარგებლეები ვერ აკმაყოფილებენ ბენეფიციარებისთვის პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს.
- ✓ ხშირ შემთხვევაში დარღვეულია პროგრამით განსაზღვრული გასაცემი დახმარების ზღვრული ოდენობა.
- ✓ არის შემთვევები, როდესაც ერთი ბენეფიციარი ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში რამდენჯერმე იღებს დახმარებას.

აუთვისებელი თანხები. 2011-2012 წლებში, სოციალური პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრებიდან აუთვისებელია 31.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის სწორად განაწილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა იმ შეჭირვებული მოსახლეობის სრულად ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება, რომელსაც უარი ეთქვა დახმარებაზე, კონკრეტულ პროგრამებში გათვალისწინებული თანხების ამოწურვის გამო. მაგალითად: 2011 წელს „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ჩართვისათვის გამგეობას მიმართა 15-მა მოქალაქემ, რომელთა განაცხადი არ დაკმაყოფილდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2011 წელს ერთი ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა შეადგენს დღეში 1,69 ლარს, ხოლო 15 ბენეფიციარის წლის განმავლობაში კვებით უზრუნველყოფისათვის საკმარისია მაქსიმუმ 9.3 ათასი ლარი.

შემოსული განცხადებების აღრიცხვა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური სოციალური დახმარების მთხოვნელთა განცხადებებს რეგისტრაციაში უნდა ატარებდეს ქრონოლოგიურად, სპეციალურ, დანომრილ, ბეჭედდასმულ და ზონარგაყრილ

ჟურნალში, საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №6 დადგენილების შესაბამისად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი წესით აკინძული ჟურნალი. არსებობს მაღალი რისკი, რომ წარმოდგენილი რეესტრი, რომელსაც გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური აწარმოებდა, არ ასახავდეს რეალობას.

მოწოდებული დოკუმენტაციის თნახმად, 2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სოციალურ პროგრამებში ჩართვისათვის მომართა 3.8 ათასი დახმარების მიღების მსურველმა მოქალაქემ, მათგან დაკმაყოფილდა 2.9 ათასი განაცხადი, რომელთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით, ნაჩვენებია №2 ცხრილში:

ცხრილი №2. შემოსული და დაკმაყოფილებული განცხადებების სტატისტიკა

სოციალური პროგრამა	2011 წელი		2012 წელი	
	მიღებული	დაკმაყოფილებული	მიღებული	დაკმაყოფილებული
უფასო სასადილო მომსახურების დაფინანსება	75	60	62	60
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (16 წლამდე ასაკის ბავშვები)	29	29	31	31
ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	110	150[2]		
სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	57	47	1548	588
ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	114	114	35	35
დევნილთა და შეჭირვებულ ოჯახების საშეშე მერქნით დახმარების პროგრამა[3]	120	161[4]	393	361[5]

[2] წინა წლის განცხადებების ჩათვლით.
[3] 2011 წელს „შეშით უზრუნველყოფის პროგრამაში“ გაერთიანებული იყვნენ დევნილები და შეჭირვებულები, ხოლო 2012 წელს - ცალ-ცალკე პროგრამა იყო.
[4] წინა წლის განცხადებების ჩათვლით.

სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპულ პოლიციელთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა	6	6		
მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	7	7	7	7[6]
დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	14	14	15	15
სარეაბილიტაციო ცენტრ „იავნანას" თანადაფინანსება	1	1	1	1[7]
სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა	410	578[8]	334	243[9]
დედ-მამით ობოლთა დახმარების პროგრამა			1	1
სოციალურად დაუცველი ოჯახების სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა			136	126
უსინათლოთა დახმარების პროგრამა			84	77
ხანდაზმულთა (100 წელს ზევით) ერთჯერადი დახმარების პროგრამა			4	4
მშობიარობის თანადაფინანსების პროგრამა			174	122
II მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი და სარიტუალო დახმარების პროგრამა			72	72
რეფერალური დახმარების ცენტრისა და ეროვნული სკრინინგცენტრის მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა	პროგრამის მიზანია შპს „რეფერალური სამსახურის" მიერ გადაყვანილი პაციენტის უკან ტრანსპორტირების დაფინანსება. შპს რეფერალური სამსახურის მიერ მოვლინებულ თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა და მათ მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების დროს გახარჯული ელ. ენერგიის თანხის ანაზღაურება.			

არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, განმცხადებლისათვის დახმარების

[5] 3 განცხადება 2011 წლის. 2012 წელს ეკონომიურად შეჭირვებული: მიღებული - 351; დაკმაყოფილებული - 323; დევნილი: მიღებული - 42, დაკმაყოფილებული - 38.
[6] მომსახურება გაწეულია 7 საჯარო სკოლისათვის: 2011 წელს - 150 ბავშვი, ხოლო 2012 წელს - 290 ბავშვი.
[7] 2011-2012 წწ. ცენტრ „იავნანას" თანადაფინანსებით დახმარება გაეწია 30-30 ბავშვს.
[8] წინა წლის განცხადებების ჩათვლით.
[9] 3-დან -18 წლამდე ასაკის - 53 განცხადება, 18-დან -60 წლამდე - 196 განცხადება.

გაცემა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს დადგენილ ყველა დოკუმენტს. 2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებული 2.9 ათასი განაცხადებიდან, უმრავლეს შემთხვევაში თანხა გაცემულია არასრული დოკუმენტაციის საფუძლეზე. მაგალითად: 2011 წელს „სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში 581 განაცხადიდან სოციალურმა სამსახურმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა 77 განმცხადებლის დოკუმენტაცია, ხოლო დანარჩენი განაცხადებიდან 409 განაცხადია დაკმაყოფილებული არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენას და არსებობს რისკი, რომ ბენეფიციართა შერჩევა ხდებოდა სუბიექტურად.

სოციალური სამსახურის მომზადებული დასკვნები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №6 დადგენილების შესაბამისად, გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური ამზადებს დასკვნას განმცხადებლისათვის დახმარების გაცემის შესახებ. დასკვნაში აისახება საფუძველი, ეკუთვნის თუ არა ამა თუ იმ განმცხადებელს პროგრამის შესაბამისად დახმარების მიღება. მაგალითად: „2012 წლის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაკმაყოფილებული 588 განაცხადიდან, სოციალურმა სამსახურმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა 69 განმცხადებლის დოკუმენტაცია, ხოლო 485 შემთხვევაში ვერ წარმოადგინეს სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები.

პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის უფროსის 3წერილობითი განმარტებით, „2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის თანახმად, სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნების მომზადება არ მომხდარა“.

იმის გათვალისწინებით, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სოციალური სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები, ვერ დგინდება თითოეული ბენეფიციარისათვის დახმარების გაწევის პრიორიტეტულობა, იმ დახმარების მიღების მსურველებთან დაკავშირებით, რომელთა განაცხადები არ დაკმაყოფილდა.

ზღვრული ოდენობის გადამეტებითა და კრიტერიუმების დარღვევით გაწეული დახმრებები 2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სოციალური პროგრამისათვის საკრებულოს განკარგულებებით[10] დადგენილია ზოგიერთ სოციალურ პროგრამაზე გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ სოციალურ პროგრამაზე დარღვეულია დადგენილი ზღვრები და თანხა გაცემულია გადამეტებით. აგრეთვე დადგენილებით განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი. ხშირია შემთხვევები, როდესაც სამსახური არ ითხოვს და არ გადაამოწმებს აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამის დოკუმენტებს. შესაბამისად, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ირღვევა განსაზღვრული კრიტერიუმები და დახმარების ზღვრული ოდენობა.

2011 წელს სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამით დაკმაყოფილებული 587[11] განაცხადიდან, 225 შემთხვევაში, ხოლო 2012 წელს 243 დაკმაყოფილებული განაცხადიდან - 27 შემთხვევაში, თანხა გაცემულია

[10] 2010 წლის 24 დეკემბრის №94 და 2011 წლის 16 დეკემბრის №91 განკარგულებები.
[11] სამსახურმა ვერ წარმოადგინა 77 ბენეფიციარის დოკუმენტაცია.

კრიტერიუმების დარღვევით. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოსახლეობის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსებას, საოპერაციო თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა. პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის ყოფილი უფროსის განმარტებით, 50%-ზე მეტი თანხით დაფინანსება ხდებოდა მათი განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, გამგებელთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთ ბენეფიციარზე რამდენჯერმე გაცემული დახმარება

2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში 111 ბენეფიციარს რამდენჯერმე ერიცხებოდა დახმარება ერთი და იმავე პროგრამიდან. მაგალითად: 2011 წელს „ახალშობილთა პირველადი საჭიროების ერთჯერადი დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, მოქალაქე ნატო პატარაიას, სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ხუთჯერადად ჩაერიცხა 200-200 ლარი (სულ 1 000 ლარი).

ბენეფიციარებისათვის თანხების განმეორებით ჩარიცხვა ზოგიერთ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ წინა საბიუჯეტო წელს დაუკმაყოფილებელი განაცხადების დაკმაყოფილება დაიწყეს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური სოციალურ პროგრამებს ახორციელებდა ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. 2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული წინა წლების დახმარების მიღების მსურველთა განაცხადების დასაკმაყოფილებლად საჭირო სახსრები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დგინდება თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით იქნენ შერჩეული ის ბენეფიციარები, რომელთა განაცხადები მომდევნო წლის ბიუჯეტიდან დაკმაყოფილდა.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

3-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახების ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული იმ ოჯახების 3-დან 18 წლამდე ბავშვთა ოპერაციების თანადაფინანსება, რომელთაც არ გააჩნიათ გააქტიურებული სამედიცინო პოლისი. დახმარება განისაზღრა არა უმეტეს 500 ლარის ოდენობით. სამსახურის მოთხონვის საფუძველზე, დახმარების მიღების მსურველი პირი წარადგენს ამონაწერს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებიდან, ფორმა №100-სა და ანგარიშფაქტურას შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელშიც მითითებულია საჭირო ოპერაციის სავარაუდო ღირებულება.

თანხის ჩარიცხვის შემდეგ, რომელიც ბენეფიციარს ერიცხება პირად ანგარიშზე, პროგრამის განმახორციელებელი სამსახურისაგან არ ხორციელდება მონიტორინგი, ამიტომ პროგრამის განმახორციელებელი სამსახური არ ფლობს ინფორაციას იმის შესახებ, თუ რა მიზნით გაიხარჯა მის მიერ გამოყოფილი თანხა.

18-დან 60 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 18-დან 60 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსება 50%-ის ფარგლებში, არა უმეტეს 1000 ლარისა, პროგრამაში ჩართვისათვის ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს სარეიტინგო ქულა 70 000 ზემოთ ან არ

უნდა ჰქონდეს გააქტიურებული სამედიცინო პოლისი. პროგრამის მარეგულირებელი ნორმებით არ განისაზღვრება დახმარების მიღების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ხშირად, დახმარების მიღების მსურველი პირი წარადგენს ამონაწერს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებიდან, ფორმა №100-სა და ანგარიშფაქტურას შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელშიც მითითებულია საჭირო ოპერაციის სავარაუდო ღირებულება.

თანხის ჩარიცხვის შემდეგ, რომელიც ბენეფიციარს ერიცხება პირად ანგარიშზე, პროგრამის განმახორციელებელი სამსახურისაგან კი არ ხორციელდება მონიტორინგი. ამის გამო, პროგრამის განმახორციელებელი სამსახური არ ფლობს ინფორაციას იმის შესახებ, თუ რა მიზნით გაიხარჯა მის მიერ გამოყოფილი თანხა.

2011 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №94 განკარგულებით[12], „სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში ბენეფიციარებისათვის თანხის გადარიცხვა უნდა განხორციელებულიყო სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნული პროგრამის შესწავლისას გამოვლინდა, რომ დაკმაყოფილებული 581 განაცხადიდან სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხა ჩაირიცხა მხოლოდ 20 შემთხვევაში, ხოლო დანარჩენ 561 ბენეფიციარს თანხა გადაერიცხა პირად ანგარიშზე.

უსინათლოთა დახმარების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული I და II ჯგუფის უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება. ლანჩხუთის მინიციპალიტეტის საკრებულოს №91 განკარგულებით[13] არ იყო განსაღვრული დახმარების მიღების მსურველთა მიერ

[12] 2010 წლის 24 დეკემბერი
[13] 2011 წლის 16 დეკემბერი

წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და დახმარების ოდენობა (ერთ ბენეფიციარზე გაცემულია 100 ლარი).

აღნიშნული პროგრამის შესწავლისას გამოვლინდა, რომ დახმარების მიღების მსურველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ვერ უზრუნველყოფს იმის დადგენას, დახმარება გაეწიათ თუ არა მხოლოდ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. კერძოდ: ბენეფიციართა უმრავლესობას ჯგუფის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილი აქვს ფორმა №100, სადაც ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული, ბენეფიციარი რომელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯგუფის კატეგორიას მიეკუთვნება.

მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა

„მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა“ ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირებას სკოლამდე და სკოლიდან უკან, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს შიდა სამგზავრო ტრანსპორტი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად, პროგრამაში ჩართული სკოლები განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლანჩხუთის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე[14]. 2011 წელს მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურება შესყიდულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერით ი/მ ვანო ჩხაიძისაგან. 2012 წელს კი აღნიშნული პროგრამა ფინანსდება სუბსიდიით. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა რესურსცენტრიდან მომართვის დოკუმენტი, რის გამოც ვერ დგინდება რეალურად რამდენ მოსწავლეს ესაჭიროებოდა ტრანსპორტირება. შესაბამისად, ვერ დგინდება თუ რას ეფუძნება სუბსიდიის დაანგარიშება.

[14] საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №6 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 ქვეპუნქტი.

მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო სასადილო მომსახურება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით[15], უფასო სასადილოს ბენეფიციარები არიან: ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები უნარშეზღუდული პირები, დედ-მამით ობოლი ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უკიდურესად შეჭირვებული მარტოხელა პირები.

2011 წელს პროგრამის მარეგულირებელი ნორმებით არ განისაზღვრება დახმარების მიღების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ხოლო 2012 წელს შერჩევის კრიტერიუმად დადგინდა 57 000 და ნაკლები ქულა. ამასთანავე, 2012 წელს პროგრამით მოსარგებლეთა ნუსხიდან ამოიღეს დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომელზეც შედგა ცალკე სოციალური პროგრამა. არც 2011 და არც 2012 წელს ბენეფიციართა რაოდენობა შეზღუდული არ არის, თუმცა 2011 წლის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსის განმარტებით, გამგებელთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, უფასო სასადილოთი მოსარგებლეთა რიცხვი განისაზღვრა 60 ბენეფიციარით. ამასთან, 2011 წელს განცხადება დაწერილი აქვს დამატებით 15 შეჭირვებულს, რომლებიც იმავე წელს ვერ დაკმაყოფილდა; 2012 წელს კი 2 განაცხადია მიღებული. 2012 წელს გარდაიცვალა 2 ბენეფიციარი და ისინი ჩაანაცვლეს ახალი ბენეფიციარებით, ისე რომ არ იყო გათვალისწინებული 2011 წელს 15 შეჭირვებულის მიერ დაწერილი განცხადება. ვინაიდან პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის მიერ არ არის მომზადებული დასკვნები[16] თითოეული ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ, ვერ დგინდება აღნიშნული 17 ადამიანიდან რეალურად რომელს უფრო სჭირდებოდა პროგრამით მისაღები დახმარება.

---

[15] 2010 წლის 24 დეკემბრის №94 განკარგულება დანართი №2.

[16] აღნიშნული დასკვნების მომზადება ევალებოდა პროგრამის განმახორციელებელ სამსახურს, საკრებულოს №6 დადგენილების შესაბამისად.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა

სოციალურად დაუცველი ოჯახების სარიტუალო ხარჯების დაფინანსება ხორციელდება ერთჯერადად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ოჯახებზე - 200 ლარის ოდენობით, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000-ს. ასევე გაწეული იქნება ხარჯები უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისათვის. პროგრამის მარეგულირებელი ნორმებით არ განისაზღვრება დახმარების მიღების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.

მოქალაქე დავით ჩიკაშუამ, რომელიც იმ პერიოდისათვის იყო კულტურის სახლის დირექტორი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგინა განცხადება, რომ გარდაიცვალა ქალაქის ღვაწლმოსილი ლოტბარი, ნანული ჩავლეიშვილი და ითხოვს, გამგეობამ სრულად დააფინანსოს სარიტუალო ხარჯები. დავით ჩიკაშუას სარიტუალო ხარჯების დაფინანსების პროგრამიდან 200 ლარის ნაცვლად ჩაურიცხეს 2000 ლარი.

მასშტაბის შეზღუდვა

2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სოციალური დახმარების თხოვნით მიმართა 3.8 ათასმა მოქალაქემ, რომელთაგან დაკმაყოფილდა 2.9 ათასი. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, 202 გაცემული დახმარების შესაბამისი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, 2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ–ასისტენტი:
ირაკლი გოგოლიძე ხელმოწერა 18.11.2013 თარიღი

აუდიტორ–ასისტენტი:
ირაკლი კოხრეიძე ხელმოწერა 18.11.2013 თარიღი